პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 19 ივლისი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე [ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

161 (859) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## მენშევიკური ემიგრაციის სასიკვდილო აგონია.

მენშევიკური პარტიის საზღვარგარეთელი ნამსხვრევები განიცდიან არსებობის უკანასკნელ წუთებს. ქართულ ემიგრაციას საფუძვლიანად შეუდგა წყალი და ის დაშლის გზას დაადგა.

დღეს რადიო გადმოგვცემს, რომ მენშევიკური პარტიის მუშა-წევრების მთელმა ჯგუფმა დასტოვა მოღალატეების პარტია და დადგა საბჭოთა პლატფორმაზე. თავის დეკლარაციაში ეს მუშები აღიარებენ მენშევიკური პარტიის გამცემლურ როლს, სამარცხვინო ბოძზე აკრავენ გამყიდველი ბელადების ავანტიურისტულ მოღვაწეობას და მოუწოდებენ დანარჩენებსაც დაგმონ გაკოტრებული პარტია და დაუბრუნდენ საბჭოთა საქართველოს მშრომელთა რიგებს.

ეს კიდევ ერთი დიდი ლახვარია ბატონ ჟორდანიასა და მის მოციქულთათვის. მის ბანაკს სტოვებენ უკანასკნელი მუშური ელემენტები, რომლებმაც თუმცა დაგვიანებით მაგრამ მაინც დაინახეს თავისი შეცდომა და მენშევიკური პარტიის მთელი მოღალატური კონტრრევოლიუციონური ბუნება. და აი ისინი წავიდენ. ცხადია ამ გარემოებას არ შეეძლო თავზარი არ დაეცა მენშევიკური ემიგრაციისათვის.

მენშევიკური შავი ძალები შეშფოთდენ. ისინი გრძნობენ თავის აღსასრულის მოახლოებას.

ყოველივე ღონისძიებას ხმარობენ რომ შეაჩერონ რღვევა.

და აი იმათ წინააღმდეგ, ვინც მათ შეაბრუნა ზურგი, დაჰგმო მათი ავანტიურისტული მოღვაწეობა, ისინი მიმართავენ ტერორს და იარაღს.

იგივე რადიო გადმოგვცემს რომ ცნობილი ბოლქვაძის მეთაურობით მენშევიკურ ავაზაკებმა მძიმედ დასჭრეს ორი მუშა, რომლებმაც ხელი მოაწერეს პარტიიდან გასვლის დეკლარაციას.

აი რა საზიზღარი საშუალებით სცდილობენ მენშევიკები თავისი არსებობის გახანგრძლივებას.

სიკვდილით ემუქრებიან იმათ ვინც გარბის მათ კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკიდან. ტყუილი ცდებია.

ტერორი და მუქარა მათ ვერ უშველის. ამით ისინი მხოლოდ დააჩქარებენ თავის აღსასრულს.

თავის არსებობის უკანასკნელ წუთებში მენშევიზმი გადაგვარდა ფაშიზმად. ეს არის მისი სამარცხვინო ისტორიის უკანასკნელი საფეხური, რაც მას სწრაფად მოუღებს ბოლოს.

## „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა“

### ამხ. ფრუნზეს წერილი.

ამ სათაურით გერმანიის მუშათა დელეგაციის საბჭოთა კავშირში მოსვლის გამო ამხ. ფრუნზე სწერს:

„ამ დღეებში ჩვენ გავაცილეთ ფრანგი და ბელგიელი ამხანაგები. დღეს ვეგებებით გერმანიის მუშათა მრავალრიცხოვან დელეგაციას. დელეგაციის წევრები—ეს არიან მუშები დაზგიდან, პირდაპირ წარმოებებიდან.

ეს საკმარისია, რომ ყველამ, განურჩევლად პარტიულობისა, მხურვალედ და ძმურად შეხვდეს ჩვენი კავშირის ყველა კუთხეებში. მათ შეუძლიათ სრული დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ წინაშე ჩვენი ცხოვრებისა და მუშაობის არც ერთი უმნიშვნელო ნაწილიც არ იქნება დაფარული.

გერმანელი ამხანაგები დაინახავენ მუშათა კლასს, რომელიც შეუდრეკი სიმტკიცით, თანდათანობით და გაბედულად აშენებს თავის საბჭოთა სახლს. ისინი დარწმუნდებიან იმაში, რომ მიუხედავად მთელი კავშირის კულტურულად ჩამორჩენილობისა, მიუხედავად ფინანსიური, მატერიალური და ტეხნიკური სიძნელისა, ეს მუშაობა არც ისე ცუდად მიდის.

ჩვენ ვანახებთ გერმანელ ამხანაგებს ჩვენს ნაკლულევანებასაც. ნაკლულევანებანი ბევრი გვაქვს. ჩვენ, მაგ., ეს-ეს არის ფართე ფრონტით შევუდექით როგორც წესი და რიგია სოფლად მუშაობას. ამ დრომდი ჩვენ არ გვებადა არც სახსარი და არც ღონე. დღეს ჩვენ ამ მხრივ ცოტათი მოვღონიერდით და ვიმედოვნებთ, რომ სულ უახლოეს მომავალში ჩვენ შევქმნით საბჭოთა სოფლის ძლიერად წინსვლის სასიხარულო სურათს.

გერმანელი ამხანაგები დარწმუნდებიან, თუ რა ღრმად გაიდგა ფესვები საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასებში სიყვარულისა და დაახლოების გრძნობამ არამც თუ მარტო გერმანიის პროლეტარიატის, არამედ მთელი გერმანიის ხალხისადმი. ისინი დაინახავენ თვითეულ მუშაში ძლიერ რწმენას იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის და გერმანიის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ღონისძიებათა გაერთიანების მომენტიდან, კაპიტალთან შრომის ბრძოლის გამოსავალი საბოლოოდ და შეურყევლად იქნება გადაჭრილი. ისინი გაიგონებენ ჩვენი მუშებისაგან იმ ფაქტის გაუგებრობის შესახებ, რომ გერმანიის მუშათა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ანგარიშ გაუწევლად მისდევს ჩვენს მტერს-სოციალ-დემოკრატიას.

ჩვენ ფართოდ ვაღებთ ჩვენი საბჭოთა სახლის კარებს ძვირფასი სტუმრების წინაშე და წრფელი გულით ვეუბნებით მათ: „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა“.

# ახალი რადიო-ამბები

## მენშევიკური ემიგრაციის უკანასკნელი დღეები.

### ემიგრაციის მუშურმა ნაწილმა დასტოვა მენშევიკური პარტია.

### პარიზში მყოფ ქართველ მენშევიკ მუშების ჯგუფის დეკლარაცია.

ქართველი მუშების—მენშევიკური პარტიის ძველი წევრების ჯგუფმა გამოაქვეყნა პარიზში დეკლარაცია, რომელშიაც მოუწოდებს ყველა ძველ ემიგრაციაში მყოფ ამხანაგებს გამოვიდენ მენშევიკური პარტიიდან და მიიღონ საბჭოთა პლატფორმა.

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ქართველი მენშევიზმი, რომელმაც ჯერ კიდევ 1917 წელში გადაუხვია რევოლიუციონურ გზას, უფრო და უფრო შორდება მუშათა მოძრაობის პრინციპებს, უახლოვდება მუშათა მტრების პოზიციას და სულ უდგამს სამარცხვინო გამოსვლებს პროლეტარიატის წინააღმდეგ. მეორეს მხრივ საქართველოს ყოფილი მთავრობა და მენშევიკების ბელადები—ნათქვამია დეკლარაციაში—ასაზრდოებდენ ქართველ ხალხს დაპირებებით ევროპიდან დახმარების შესახებ და ბიძგავდენ საქართველოს ბრძოლის გზაზე საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის წინააღმდეგ. იმავ დროს კი, საბჭოთა კავშირი ის ნამდვილი ძალაა, რომელზედაც შეუძლია დაეყრდნოს საქართველო თავის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინების საქმეში. იმ დროს, როცა ჩვენი მტრები აწყობენ ერთიან რეაქციონურ კავშირს მშრომელთა წინააღმდეგ,—თვითეული მუშის მოვალეობაა შეუერთდეს მუშათა ერთიან ფრონტს. დეკლარაციას ხელს აწერს ქართველ მენშევიკების ცეკას ყოფილი წევრები ტფილისში—შულუხია, დემეტრაშვილი, სულაქველიძე, მენშევიკური კომიტეტის წევრი ზუგდიდში—ვეკუა და გურიის კომიტეტის წევრი კალანდაძე.

ასეთივე დეკლარაცია გამოაქვეყნა ქართველ უპარტიო მუშათა ჯგუფმაც. უკანასკნელი დეკლარაციის გამოშვების გამო, ქართველ მენშევიკების მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა ცნობილ ბოლქვაძის ხელმძღვანელობით თავს დაესხა პარიზში ორ მუშას, რომლებმაც ხელი მოაწერეს დეკლარაციას და მძიმედ დასჭრა ისინი.

საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი ქართველი მუშები შიშობენ, რომ ქართველი „წარმომადგენლობა“ შეეცდება მიაღებინოს პოლიციას მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები.

## ინგლისი კონფერენციის მოწვევის თანახმაა.

ინგლისის მთავრობამ აცნობა ჩინეთით დაინტერესებულ სახელმწიფოებს, რომ ის არაა შანხაის ამბების გამოძიების წინააღმდეგი.

ინგლისის მთავრობა თანახმაა აგრეთვე ამერიკის წინადადებაზე, რომლითაც ის მოითხოვდა კონფერენციის მოწვევას უცხოელთა უფლებების საკითხის განსახილავად ჩინეთში.

## შეეშინათ მუშები სიმართლეს გაიგებენო.

### ავსტრიის მთავრობამ ჩაშალა მუშათა დელეგაციის გამგზავრება საბჭოთა კავშირში.

ავსტრიის მთავრობამ განკარგულება გასცა არ მისცენ პასპორტები დელეგაციის წევრებს, რომლებიც აპირებდენ საბჭოთა კავშირში გამგზავრებას.

დელეგაციის სოციალ-დემოკრატ წევრებმა მიმართეს პარლამენტის სოც. დემოკრატიულ ფრაქციას თხოვნით ამ საქმეში ჩარევის შესახებ.

მაგრამ პარლამენტის ფრაქციის მდივანმა ამაზე უარი განაცხადა.

ამ რიგად მუშათა დელეგაციის განზრახვა ჩვენში გამოგზავრების შესახებ ჩაიშალა.

## მოსკოვ-პეკინის ექსპედიციის მონაწილეთა დაჯილდოება.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა დააჯილდოვოს მოსკოვ-პეკინის ექსპედიციის უფროსი შმიდტი, მფრინავები და მექანიკოსები წითელი დროშის ორდენით, გადაფრენის წარმატებით შესრულებისათვის. გარდა ამისა ვოლკოვი, ვოინოვი, გრომოვი, ტომაშევსკი, ეკატოვი, პოლიაკოვი და ნაიდენოვი დაჯილდოვებულ იქნენ დამსახურებულ მფრინავთა სახელ-წოდებით. ბრძანებით სამხედრო ძალებისადმი შმიდტს მიეცა მფრინავ-მოთვალთვალის სახელწოდება.

## ემზადებიან უკანასკნელი საფეხურისთვის.

სწარმოებს მზადება პეკინის გარშემო გასაფრენად. მფრინავები დაჯილდოებული არიან ორდენებით და ძვირფას საჩუქრებით. სხვა და სხვა პროვინციების გუბერნატორებმა გამოუგზავნეს ექსპედიციის მონაწილეებს მილოცვები და საჩუქრები.

## მფრინავ ტომაშევსკის გმირობა.

შეუპოვარი ღონისძიების შემდეგ მფრინავი ტომაშევსკი იძულებული გახდა ჩამორჩენოდა ექსპედიციას და დაშვებულიყო. ტომაშევსკი აფრინდა პატარა სოფლიდან, რომელიც მდებარეობს ურგადან 250 კილომეტრზე, და 16 ივლისს მშვიდობიანად დაეშვა უდეში (უდაბნო გობის შუაგული).

შიმშილით, წყურვილით სათცარი სიცხით განაწამებმა და მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილმა ტომაშევსკიმ, მექანიკოს კამიშევთან ერთად გაასწორა ჰაეროპლანი „ლატიშსკი სტრელოკი“, რომ განეგრძო ფრენა შაიოტანით პეკინისკენ.

## ბელგია და საბჭოთა კავშირი.

ბელგიის პალატაში საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს სოციალისტ ბრენფომ მოითხოვა საბჭოთა კავშირის საჩქაროდ ცნობა.

მან განაცხადა, რომ ბურჟუაზიულ პრესის ყოველი ცნობა საბჭოთა კავშირის შესახებ ცილისწამება აღმოჩნდა.

საპასუხოდ საგარეო საქმეთა მინისტრ ვანდერველდემ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა ბელგიის მიერ შეიძლება წინასწარ მოლაპარაკების შემდეგ, რომლის მიზანიც უნდა იყოს ბელგიის ინტერესთა დაკმაყოფილება და ზოგიერთი, მაგ. საქართველოს მთავრობის ცნობა.

# მშრომელ ხალხის გამცემლები პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე.

### მოწმეების დაკითხვა.

16 ივლისს დილის სხდომაზე სწარმოებდა მოწმეების დაკითხვა. პირველად სასამართლომ დაკითხა მოწმე ფირცხალაიშვილს.

ფირცხალაიშვილი ამბობს, რომ ეხლა ის უპარტიოა, ხოლო უწინ კი ეკუთვნოდა „სხიველებს“, იგი დაწვრილებით „განმარტავს“, თუ

### როგორ შევიდენ პარიტეტულ კომიტეტში.

მათ უწინ მოწყობილი ჰქონდათ ბიურო რუსთაველის პროსპექტზე, სცემდენ გაზეთს და განაგრძობდენ არსებობას. მაგრამ შემდეგ შემოიღეს გადასახადები ბიუროზე, ველარ შესძლეს გაზეთის გამოცემა და.. დაანებეს თავი ლეგალურათ არსებობას. ამის შემდეგ ისინი შესულან პარიტეტულ კომიტეტში.

—რატომ, რა გინდოდათ პარიტეტულ კომიტეტშიო, ეკითხებიან.

—რომ არ გაძლიერებულიყვნენ მენშევიკები და ვინიცობაა გადატრიალება მომხდარიყო, რომ ისევ ძველებურათ არ ებატონებიათ, ამიტომ შევედით იქ და ვმუშაობდითო.

### როგორ იხრწმებოდენ „სხიველები“.

შემდეგ თავის ჩვენებაში და შეკითხვებზე პასუხში მოწმე ფირცხალაიშვილი განმარტავს, რომ „სხიველებშიაც“ სწარმოებდა ბრძოლა მემარცხენე და მემარჯვენე მიმართულებაშიო. საზოგადოთ მოწმის ჩვენება მშვენიერი დასურათებაა გახრწნა-რღვევის პროცესისა.

### მოწმე მარიამიძის ჩვენება.

16 ივლისის საღამოს სხდომაზე დაკითხულ იქნა მეორე „სხიველი“, მათი ცეკას წევრა მიხ. მარიამიძე. მოწმე ერთ-ერთი აქტიური წევრთაგანი იყო პარტიის. პარტია მას ავალებდა ყოველთვის საორგანიზაციო საქმეებს. 1921 წელს იგი გაგზავნეს დასავლეთ საქართველოში ორგანიზაციების მოსაწყობათ. რამდენი მეტი ხანი გადიოდა, მოწმე უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ პარიტეტული კომიტეტის პოლიტიკა ავანტიურისტულია და აქედან მასში დაიბადა გადახრა მარცხნისაკენ. ამის გამო „სხიველებმა“ იგი გამორიცხეს პარტიიდან.

მოწმე ამბობს, რომ იგი ყოველთვის მოითხოვდა პარტიისაგან გაეწყვიტათ კავშირი პარიტეტულ კომიტეტთან და მას ყოველთვის არწმუნებდენ (განსაკუთრებით გ. გიორგაძე) რომ ჩვენ მათთან არავითარი კავშირი არა გვაქვსო. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა შეიქნა

### აჯანყების ხანებში.

ამ დროს მარიამიძე დაპატიმრებული იყო და როდესაც აჯანყება მოხდა მან მოითხოვა გიორგაძის ნახვა. გიორგაძესთან და შემდეგ ანდრონიკაშვილთან შეხვედრის დროს გამოაშკარავდა, რომ პარტია მონაწილეობას იღებდა პარიტეტის პოლიტიკაში და მაშასადამე გამოსვლებშიც.

### შეკითხვები.

მოწმეს შემდეგ ვრცელ შეკითხვებს აძლევენ, როგორც სახელმწიფო ბრალმდებელი, ისე ბრალდებულებიც.

ამით სრულდება 16 ივლისის საღამოს სხდომა.

---

**ორშაბათს, 20 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია ტფ. ლ. ს. საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა:**

1. კომუნალური . . . . . . (წითელი თეატრი).

**დღის წესრიგი:**

1) მოხსენება აბანოების შესახებ.
2) „ სასაკლაოს შესახებ.
3) „ უმუშევრობის და მასთან ბრძოლის შესახებ.
4) „ საზოგადო სამუშაოებზე.
5) მიმდინარე საკითხები.

2. საფინანსო . . . . . . (ალმასკ. შენ. ოთახი № 17)

**დღის წესრიგი:**

1) საინფორმაციო მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საფინანსო თათბირის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

3. ჯანმრთელობის . . . . . (ალმასკ. შენ. ოთახი №57)

**დღის წესრიგი:**

1) ვენეროლოგიური და ტუბერკ. დისპანსერის შესახებ.
2) ტუბერკულიოზის სამ-დღიურის ჩატარების ანგარიში ტფილისში.
3) მიმდინარე საკითხები.

4. სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის (ალმასკ. შენ. ოთახი № 66).

**დღის წესრიგი:**

1) მოხსენება სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის შედგენილ 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

---

# საქართველოს ცაკის მეორე სესია.

### მე-4ე სხდომის გაგრძელება.

**ამხ. მახარაძის სიტყვა.**

სათემო ბიუჯეტის საკითხის შესახებ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მთელმა რიგმა სესიის წევრებმა. აღნიშნულ საკითხზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ამხ. ფ. მახარაძე.

იგი აღნიშნავს, რომ სათემო ბიუჯეტის შემოსავლების საკითხში ჩვენ დაუშვით შეცდომები, მაგრამ ყველაფრის გათვალისწინება ძნელია. თვითდაბეგვრა, ორატორის აზრით, არა თუ საჭირო, არამედ აუცილებელიც არის. აქ უნდა გამოიჩინონ თაოსნობა თემალმასკომებმა. მათ უნდა უხელმძღვანელონ სოფლათ აღმშენებლობის საქმეებს: გზების, ბოგირების, სკოლების და სხვა შეკეთებას.

საჭიროა აგრეთვე მიღებულ იქნას თვითდაბეგვრის პრინციპი; მაგრამ თვითდაბეგვრა უნდა სწარმოებდეს მხოლოთ ნებაყოფლობის ნიადაგზე.

დასასრულ ორატორი ეხება გლეხკომების მდგომარეობას. იგი აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის საკითხთან მჭიდროთაა დაკავშირებული გლეხკომების საკითხიც. დღემდე კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა გლეხკომები ერევიან ადმინისტრატიულ საქმეებში, ითვისებენ სხვის ფუნქციებს და სხვა. ამიტომ, ორატორის აზრით საჭიროა დაჩქარებით ჩამოყალიბდეს გლეხკომების მდგომარეობა და მოხდეს მათი ფუნქციების გამიჯვნა.

### სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. თ. ღლონტი. იგი აღნიშნავს რომ გასულ წელს სას. სამ. გადასახადი უდრიდა 2.900.000 მანეთს. წელს კი ეს თანხა შემცირებულია 1 მილიონი მანეთით. აქედან წინასწარი განაწილებით ცალკე მაზრებზე მოდის: ახალქალაქის მაზრა-154.000 მანეთი, ახალციხის-102.000 მ. ბორჩალოს-204.000 მან. გორის-190.000 მ. დუშეთის-61.000 მ. სიღნაღის-206.000 მ. თელავის-112.000 მ. ტფილისის—290.000 მ. სამხ.-ოსეთი 34.000 მ. ზუგდიდის-69.0000 მ. ქუთაისის-100.0 მ. ლეჩხუმის-15.000 მან. რაჭის-21.000 მან. ოზურგეთის-54.000 მ. სენაკის-65.000 მან. აჭარა-16.000 მანეთი. ამ თანხიდან ნახევარი რჩება ადგილობრივ ბიუჯეტში. დასასრულ, მომხსენებელი დაწვრილებით განმარტავს ყველა საკითხებს სას.-სამ. გადასახადთან დაკავშირებით.

მოხსენების შემდეგ სესიამ მიიღო ამ საკითხის შესახებ ცალკე კომისიის რეზოლიუცია.

### მე-ხუთე სხდომა.

სხდომა იხსნება დილის 10 საათზე ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით.

სათემო საბჭოების და ალმასკომის დებულებების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. შ. მათიკაშვილი, რომელიც ამბობს, რომ დებულების მიზანია სათემო საბჭოების გამოცოცხლდება, მათი დაახლოება მასასთან და მათში ფართო უპარტიო გლეხობის ჩაბმა.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რა ამოცანა აქვთ სათემო საბჭოს და აღმასრულებელ კომიტეტს თემის ფარგლებში: გლეხის მეურნეობის აღორძინება, ბრძოლა უვიცობასთან, სნეულებასთან და სოფლის სხვა ნაკლთან, მშრომელი მოსახლეობის უფლებათა დაცვა მუშების და გლეხების კავშირის საფუძველზე, მთავრობის კანონების სწორი და სრული განხორციელება, გლეხების და გლეხქალების ჩაბმა სახელმწიფო მართლაც გამგეობაში.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სათემო საბჭოსა და ალმასკომის დებულების პროექტი არ არის გათვალისწინებული, თუ ვინ უნდა გაატაროს ცხოვრებაში ამ ორგანოების დადგენილებანი.

მომხსენებლის აზრით ეს გამოწვეულია იმით, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში სხვა და სხვა ტრადიცია და პრაქტიკა ყოფილა. მაგ. დასავლეთ საქართველოში დადგენილებებს ცხოვრებაში ატარებენ არჩეული პირები ათის თავები, რომლებიც უფასოდ მუშაობენ, აღმოსავლეთ საქართველოში კი არიან სოფლის რწმუნებულები, რომლებიც გასამრჯელოს ღებულობენ მოსახლეობისაგან.

ამ ორი ტრადიციის და პრაქტიკის შესათანხმებლად სესიამ აირჩია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს სათემო აღმასკომის დადგენილებათა შემსრულებელ აპარატის დებულების შემუშავება.

ამხ. მათიკაშვილის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა რამოდენიმე ორატორმა. ორატორები, უმთავრესად აღნიშნავდენ ჯარა ნორმალურ ურთიერთობას რაიონულ მილიციასა და სათემო ალმასკომის შორის.

ამხ. მათიკაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ სესიამ აირჩია კომისია რაიონულ მილიციასა და სათემო საბჭოების ურთიერთობის შესასწავლად და მათი ფუნქციების ჩამოსაყალიბებლად.

კომისიაში შედიან ამხ. ამხ. მათიკაშვილი, ჩახნაშვილი, ქურდიაძე, შოგირაძე, ლორთქიფანიძე, ვარძიელი და ჯუღელი.

შემდეგ ამხ. მათიკაშვილი მოხსენებას აკეთებს სამაზრო ქალაქის საბჭოს დებულების შესახებ და ამბობს, რომ სამაზრო ქალაქის საბჭოს ისეთივე დანიშნულება აქვს როგორც სათემო საბჭოს, მხოლოდ სამაზრო ქალაქების საბჭოები ფიქცია იყო, ისინი არაფერს აკეთებდენ, არავითარი საკითხებს არ იხილავდენ და სხვა.

ამის მიზეზად მომხსენებელი ასახელებს ბიუჯეტის უქონლობას და პრეზიდიუმის უყოლობას.

შემდეგ ამხ. მათიკაშვილმა დებულების პროექტიდან წაიკითხა ადგილები, რომლებიც ეხება ქალაქის საბჭოს ძირითად ამოცანებს და უფლება—მოვალეობას.

---

# არმიის თათბირი

## ეროვნულ და ტერნაწილებში მუშაობის შესახებ.

### ამხ. კრუგლიკოვის მოხსენება.

**ქ. წ. დ. ა. ხელმძღვანელობა ეროვნულ დივიზიებზე და ეროვნულ დივპოლიტგანყოფილებების ხელმძღვანელობითი მუშაობა.**

17 ივლისის საღამოს სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. კრუგლიკოვი.

ხელმძღვანელობის ფორმა ეროვნულ დივიზიებში—განაცხადა მან—ძირითადად იგივეა, რაც ნუმერულ დივიზიებში. ხოლო განსხვავება ეროვნულ დივიზიების პოლიტგანყოფილებათა მუშაობის მოცულობაში.

ეროვნულ დივიზიების პოლიტგანყოფილებებმა პარტაღმშენებლობის მუშაობა უნდა შეუფარდონ ეროვნულ რესპუბლიკების თავისებურობას.

ამიტომ საჭიროა სათანადო ინსტრუქციები მიეცეს ნაწილში მომუშავეებს.

**მომუშავეთა შერჩევა.**

ეროვნულ ნაწილებისთვის პოლიტ-მუშაკთა კადრის შექმნა შეიძლება ამ საქმისთვის უფრო შესაფერის კომკავშირის აქტივის სამხედრო მუშაობისთვის მომზადებით. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მუშაკთა შერჩევას, რომელთაც შეეძლებოდეს მუშაობის წარმოება ეროვნულ უმცირესობათა შორის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ დივიზიის მომუშავეთა სპეციალურ თათბირებს.

17 ივლისის სხდომის დასასრული და 18 ივლისის სხდომის პირველი ნახევარი მოუნდა კამათს ამხ. კრუგლიკოვის მოხსენების გარშემო.

**სამხედრო პროპაგანდა მოსახლეობის შორის და სოფლად მუშაობა ტერაღმშენებლობასთან დაკავშირებით.**

**ამხ. ეგიკოვის მოხსენება.**

ამხ. ეგიკოვი ეხება ტერსისტემის მიზანს სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობისა და თავდაცვის უნარიანობის გაძლიერების საქმეში, აღნიშნავს სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების მუშაობას ამ მხრივ და გადადის სამხედრო პროპაგანდის საკითხზე, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტერდივიზიების ცვალებად არმიელთა შეკრებათა შორის.

კამათისა და ამხ. ეგიკოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ დილის სხდომა იხურება.

მ.

---

# სამხედრო საქმე

## შეჯიბრი სროლაში საუკეთესო მსროლელ მეტყვიამფრქვევეთა შორის.

შეჯიბრზე დაშვებულ იქნებიან ყველა მეტყვიამფრქვევე წითელ არმიელები, რომელთაც მიუღიათ „საუკეთესო მსროლელის“ წოდება ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევიდან, ხოლო „კარგ მსროლელთა“ რიცხვიდან—ისინი, ვინც პირველი წელი გაატარა სამსახურში.

შეჯიბრი ჩატარდება ერთნაირ იარაღებს შორის, ე. ი. ხელის ტყვიამფრქვევები ეჯიბრებიან ერთმანეთს, დაზგის ტყვიამფრქვევი—დაზგისას.

**1. ხელით სასროლ ტყვიამფრქვევთა შეჯიბრი.**

ხელის ტყვიამფრქვევის სროლის პირობები იგივეა, როგორც თოფიდან, მაგრამ ვაზნები ეძლევა მეომარს, თუთხმეტი ცალი და სროლის დრო იზრდება 1 წუთითა და 30 წამით იმის შემდეგ, როცა განკარგულებას მისცემენ წასვლის შესახებ.

შეფასება, ე. ი. პირველობის განსაზღვრა სწარმოებს ისევე, როგორც შაშხანით მსროლელთათვის.

**2. დაზგის ტყვიამფრქვევთა შეჯიბრი.**

**სროლის სახე.** თვითეულ ტყვიამფრქვევს, რომელიც მონაწილეობს შეჯიბრში, ეძლევა სამი ჯგუფი სანიშნო:

1) 900—1.000 ნაბიჯზე ტყვიამფრქვევი, რომელიც უცებ მიიმალება:

2) 700—800 ნაბიჯზე მტრის ჯგუფი—6 სანიშნო წელს ზევით, რომლებიც აგრეთვე გამოჩენისთანავე დაეცემიან.

ეს სანიშნოები მოთავსებულ იქნებიან კედართ 10 ნაბიჯზე და სიღრმით 25 ნაბიჯზე.

3) 400—500 ფეხის ნაბიჯზე მეორე ჯგუფი—6 თავის სანიშნო, რომლებიც სწრაფლ გამოჩნდებიან და ისევ მიიმალებიან. ესენი კედართ დაშორებული იქნებიან ერთმანეთზე 10-10 ნაბიჯით.

თვითეული ტყვიამფრქვევს ეძლევა 30 ვაზნა.

თვითეულ ტყვიამფრქვევზე იმყოფება დამმიზნი და მისი თანაშემწე. ტყვიამფრქვევები—დამაგრებულია განმბნევი და ალმმართავი მექანიზმით.

**ასრულების წესი.** შეჯიბრის ხელმძღვანელის განკარგულებით ტყვიამფრქვევი გადაიტანება ნაჩვენებ ზოლზე (ზღვარზე). ამ ზღვარზე ტყვიამფრქვევი ჩერდება, მზადდება საბრძოლოდ და ხსნის ცეცხლს გამოჩენილ სანიშნოზე, ხოლო ახალი სანიშნოს გამოჩენის შემდეგ, გადააქვს ცეცხლი მასზე. თავის სანიშნოები გამოჩნდებიან 20 წამით. სროლის შესრულებისთვის დრო მოცემული იქნება 1 წუთი და 50 წამი წინსვლის შესახებ განკარგულების მიცემის შემდეგ.

**შეფასება.** საუკეთესო მსროლელად ჩაითვლება ის, ვინც შემუსრავს ყველა სანიშნოს, ხოლო თანასწორ პირობებში—ის, ვინც შემუსრავს სანიშნოებს უფრო ჩქარა ვაზნების ნაკლები რაოდენობის დახარჯვით.

3.

# ჩვენს ტერიტორიალურ ნაწილებში

## წერა-კითხვის უცოდინარობას წახალისება უნდა და არა ხელის შეშლა.

4-ხე ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის კლუბში სამნეო ასეულიდან მივლინებულია ერთი წერა-კითხვის უცოდინარი წითელ არმიელი. სამწუხაროდ ეს ამხანაგი მთელი მეცადინეობის განმავლობაში სულ ორჯერ თუ სამჯერ გამოცხადდა წერა-კითხვის უცოდინართა სკოლაში. როდესაც შევეკითხებით ამ ამხანაგს, თუ რატომ სისტემატიურად არ დაიარება მეცადინეობაზე, გულნატკენი გვიპასუხებს, რომ მას დიდი სურვილი აქვს, მაგრამ მიუხედავათ დიდი თხოვნისა მას არ უშვებს კლუბის უფროსი.

ეს რას ნიშნავს? ნუ თუ არ იცის კლუბის უფროსმა, რომ წერა კითხვის უცოდინარეობის მოსპობას უდიდესი ყურადღება ექცევა ჯარში და არავის არ შეუძლია, პირიქით უნდა აიძულონ კიდევაც არმიელები მეცადინეობაზე.

თუ ეს არ ესმის ან ამხანაგს და არც უნდა გაიგოს, მაშინ ის ღირსი არ იქნება ჩვენს რიგებში ყოფნისა.

მით უფრო ასეთი საქციელი მიუტოვებელია კლუბის უფროსისათვის. ასეთ მოვლენას ბოლო უნდა მოეღოს.

სამხკორი მეხი.

## მისაბაძი მაგალითი.

მე-4-ე ლეგიონი.

მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს საზანაკოდ გასულ მე-4-ე ლეგ. საკომენდანტო გუნდის ბანაკი. კარვები ლამაზად აქვთ მოწყობილი, გარშემო ყვავილები და წყარო. წ. არმიელები, მიუხედავად იმისა, რომ ახალი მოსული არიან, პირნათლად ასრულებენ ყველა დავალებებს. სამხედრო საქმე ზედმიწევნით იციან. ჯერ ერთი შეცდომა არ დაუშვიათ შინა სამსახურის ასრულების დროს. ყოველივე ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ამხ. აბაშიძეს, რომელიც ენერგიულად მუშაობს წითელ არმიელებთან, როგორც სამხედრო, ისე საგანმანათლებლო დარგში.

სამხკორი სან—მანი.

## განგაში ჩვენს ათასეულში.

5-თე ლეგ. 3-მე ათასეული.

ჩვენი ლეგიონის მესამე ათასეულში 7 ივლისს ღამით, ათასეულის თავის განკარგულებით მოხდა განგაში. განგაშის მომენტში არც ერთი ახალწვეული არ იყო. ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ გაცნობილი განგაშის დროს საჭირო მოქმედებაზე.

მიუხედავათ ამისა, როგორც კი ასტყდა ზარის ხმა და ორნ გეებმა მიაძახეს—ადექით, ამხანაგები წამოცვივდენ და ორი წუთის განმავლობაში სრულიად ჩაცმული და შეიარაღებული გამოვიდნენ დანიშნულ ხაზზე.

გამოსვლის დროს დაცული იყო საუცხოვო წესრიგი. არ ისმოდა არსად ლაპარაკი. თითეული მიეშურებოდა მტკიცედ თავისი პოსტისაკენ.

ყველა ასეულებს მიეცათ ცალკე ამოცანები და გაეშურენ დანიშნულებისამებრ. ყველაფერი წესრიგზე იქნა შესრულებული. დანიშნულ ადგილზე თავი შეიყარეს და შემდეგ რევოლიუციონური სიმღერებით გაეშურენ ყაზარმისაკენ.

ჩვენს ახალწვეულებს დიდი სიფხიზლე ემჩნეოდათ, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მეთაურებზე.

სამხკორი ყულისკარელი.

## ჩვენი ლეგიონის ცხოვრებიდან.

მეორე საარტილერიო ლეგიონი.

მეორე საარტილერიო ლეგიონის საგაუბიცო ბატარეიაში უკლებლად მოვიდენ ცვალებადელები, რომლებთანაც თავიდანვე დაიწყო მუშაობა და მას აქეთ მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურათ, როგორც სამხედრო ისე პოლიტიკურ დარგში.

მეცადინეობას დათმობილი აქვს დღეში 8 საათი და მთელი ამ დროს განმავლობაში ოდნავ არ სუსტდება ცვალებადელების ინტერესი მუშაობისადმი.

ბატარეიაში დაარსებულია სხვა და სხვა წრეები, სპორტწრე, დრამ-წრე, პოლიტ-წრე, ლიტერატურული წრე და სხვა. ყველაში სწარმოებს მეცადინეობა.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ნაკლულევანებანი, რომლებიც დიდათ აბრკოლებენ ჩვენ საქმიანობას.

ეს შეეხება ჩვენი სამნეო ნაწილის უფროსს. არა გვაქვს პარიკმახერო და ამის გამო იძულებული ვხდებით კერძო დალაქებთან მოვიპარსოთ პირი.

აგრეთვე არიან ზოგიერთი კადრის წითელ-არმიელები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიუღიათ ტანთსაცმელის ერთი ნაწილი.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და მოაგვარონ ისინი.

სამხკორი კირილე.

## სამხედრო სამეცნიერო წრის მუშაობა.

მეექვსე ტერლეგიონი.

ჩვენი ტერ-ლეგიონის სამხედრო-სამეცნიერო წრე დაარსებულია 1902 წელში დაბადებულ ცვალებადელთა გამოწვევის შემდეგ, როდესაც საშუალება მოგვეცა პროვინციებში გაბნეული უფ-პოლიტ-შემადგენლობის წევრებისთვის ათასეულების მაშტაბში მოვეყარა თავი.

მესამე ათასეულში ცალკე არსებობს ასეთი წრე, რომელიც ყოველგვარ დირექტივებს და მასალებს ღებულობს ლეგიონში არსებულ სამხედრო სამეცნიერო წრის პრეზიდიუმიდან.

ლეგიონში წრის მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად, კვირაში ერთხელ შაბათობით.

გასულ შაბათს შესდგა წრის მორიგი სხდომა, რომელსაც ყველა უფ-პოლიტ-შემადგენლობამ ვერ დაესწრო, რადგან ზოგიერთი ამხანაგები წასული იყვნენ სასპორტო შეჯიბრებაზე მონაწილეობის მისაღებათ.

მოსმენილი იქნა მოხსენება ფრიად საინტერესო თემაზე.

მაგრამ აღსანიშნავია ერთი ნაკლი: ეს მესამე მოხსენება იყო წრეში და სამწუხაროდ ერთ და იმავე მომხსენებელს ვხედავდით მეორეჯერ მაშინ, როდესაც ზოგიერთი უფპოლიტ-შემადგენლობის წევრებს სრულებით არ გაუკეთებიათ მოხსენება. საჭიროა ყველა იქნას ჩაბმული წრის მუშაობაში. მაშინ მეტ ნაყოფს მივიღებთ და ამხანაგებსაც გადავარჩენთ ზედმეტ დატვირთვისაგან. იმედია წრის პრეზიდიუმი მომავალში გამოასწორებს ამ ნაკლს.

სამხკორი დამსწრე.

## ჩვენც ვეინახულეს

მე-6-ხე ლეგ. მესამე ათასეული.

ივლისის შუა რიცხვებში ჩვენს ათასეულს ეწვიენ მეორე დივ ზიის უფროსი, დივიზიის სამხედრო კომისარი, დივიზიის ექიმი, პარტკომისიის მდივანი, ლეგთავი და საშხკომი. მათი მოსვლის მიზანი იყო გაეცნობოდნენ მესამე ათასეულის ცხოვრებას.

პირველად სტუმრებმა დაათვალიერეს ათასეულის შენობები, სადაც მოთავსებული არიან ტერარმიელები, შემდეგ სასადილო, სამზარეულო, ფურნე და სხვა.

ყველა ზემო აღნიშნულ ადგილებზედ ყოველთვის იყო და ეხლაც არის დაცული სისუფთავე, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მათზე. მეტად დიდი ყურადღება მიიპყრო სამზარეულომ და სასადილოს ტეხნიკურმა მოწყობილობამ.

ტერარმიელებზე სადილის დარიგება ხდება 25 წუთის განმავლობაში და მათ არ უხდებათ ლოდინი და რიგში დგომა. ყველანი სხდებიან სუფრაზედ, ყველას სათითაოდ აქვს სასადილო ჭურჭლები და სურები წყლით.

შემდეგ გაეცვნენ ამხანაგები სამხედრო მეცადინეობას, პოლიტსაათს, ინახულეს ლენკუთხეები, ათასეულის ბიბლიოთეკა და სხვა.

ტერარმიელები ყველა შეკითხვებზე ცოცხლად იძლეოდენ პასუხს.

ერთხანს ათასეულში საექიმო დახმარება ვერ იყო დაყენებული თავის სიმაღლეზე. ავათმყოფ ტერარმიელებს გამოწერილი რეცეპტებით უხდებოდათ სიარული ალმასკომში შესამოწმებლათ და შემდეგ კი ლოდინი აფთიაქში წამლის მისაღებათ. ყველა ეს იქნა გამოსწორებული, დახმარება ამჟამად სწარმოებს ადგილზე.

შემდეგ ათასეულში მოაწყო „სამხედრო საღამო“. გამოწვეული იქნენ 1901 წელში დაბადებულები, მოვიდა მეექვსე ლეგიონიდან ფეხბურთელთა ჯგუფი, რომელიც შეეჯიბრა ადგილობრივ ფეხბურთელთა ჯგუფს.

ამავე საღამოს ათასეულის დრამწრემ დასდგა წარმოდგენა ქართულად სხვა და სხვა სურათებით. დარბაზი სავსე იყო წითელ არმიელებით და ახლობელი მცხოვრებლებით.

მეორე დღეს ჩვენი უფროსი მეთაურები ბამოემშვიდობენ წითელ არმიელებს და გაეშურენ თბილისისაკენ.

დ. ჭანკვეტაძე.

# განაკის ცხოვრება და მუშაობა.

## მანევრები მეთაურთა სკოლაში.

7 ივლისს ქართულ მეთაურთა სამხ. სკოლამ მოაწყო მანევრები.

ჩამწკრივდენ ასეულები ეზოში. გვიხსნეს ჩვენი ამოცანები და დავიწყეთ მოძრაობა. ყველა კურსანტები გახარებული იყვნენ რომ ორი-სამი დღით სცილდებოდენ სკოლას.

მარცხნივ, სოფ. ტემპერის მიმართულებით მოძრაობით შევასრულეთ ჩვენი ამოცანა. ამოცანები შესრულებული იყო. გვეინტერესებოდა მისი ერთბაშად თვალის გადავლება და ამ მიზნით ავედით იქვე ამართულ მაღალ გორაკზე. აქედან ყველაფერი სჩანდა, როგორც ხელის გულზე და მოახდინეს გარჩევა თუ როგორ შესრულდა ამოცანა.

სამხედრო კომისარმა მოგვილოცა გამარჯვება და მოგვიწოდა უფრო მეტი ენერგიით შევსდგომოდით სხვა ამოცანების ასრულებას.

სადილის შემდეგ დავბინავდით სოფელში, სადაც საღამოს 8 საათზე გავმართეთ ინსცენიროვკა, უკრავდა ორკესტრი, მღეროდა სკოლის გუნდი და სხვა.

კლუბის უფროსმა შარაშენიძემ სხვების დახმარებით გამოუშვა ამავე სოფელში კედლის გაზეთი.

ჩვენს მოქმედებაზე ძლიერ დაინტერესდა ადგილობრივი გლეხობა და გვეკითხებოდენ რამდენ დღეს დავრჩებოდით სოფელში და მოვაწყობდით თუ არა კიდევ ასეთ საღამოს. მაგრამ მეორე დღეს დილით ჩვენ მოგვეცეს ამოცანა, მოხდა განგაში და შევუდექით მის შესრულებას, რომელიც ორჯელ უკეთ შევასრულეთ წინა დღით შესრულებულ ამოცანაზე.

გათავდა მეცადინეობა. საქმის გარჩევისას დაგვესწრო სკოლის უფროსთან ერთად სრულიად საკავშიროსამხედრო სკოლების კომისარი, რომელმაც მრავალი შეკითხვები მისცა კურსანტებს.

ამის შემდეგ ვესტუმრეთ სოფ. კაკალანთხევს. იმ დღეს იქ დავისვენეთ, გავმართეთ ინსცენიროვკები და აქაც გამოუშვით კედლის გაზეთი, რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხებზე.

საღამოს 8 საათზე კი გამოვეშურეთ სკოლისაკენ.

სოფლელები დიდი მადლიერი დაგვრჩენ და გვეკითხებოდენ თუ კიდევ როდის დავბრუნდებით მათ სანახავად.

ნ. კოპალიანი.

## მარტო სხვის შესახედათ არ უნდა ვიცავდეთ სისუფთავეს.

2 რე საარტლეგიონი.

მეორე საარტილერიო ლეგიონის საგაუბიცო ბატარეიაში 4 ივლისს რევიზიაზე მოვიდა დივიზიის უფროსი ამხ. ქუთათელაძე.

ამხანაგის მოსვლამდე ფეხზე დადგა ზემოხსენებული ნაწილი. შეუდგენ ყველაფრის დასუფთავებას, დააგვავინეს ყაზარმები და ეზოები. გააწმენდიეს ფეხის ადგილები, რომლებსაც მთელი ოცი დღის განმავლობაში კირი არ მიჰკარებია. ამ დღისთვის გააკეთეს ყველაფერი.

ეს რად უნდა ხდებოდეს ჩვენს ნაწილში? საჭიროა რევიზიამდეც იყოს დაცული სისუფთავე თორემ მარტო ის არ გვიშველის, რომ სხვას თავი მოვაჩვენოთ, თითქოს ყოველთვის სუფთად ვიმყოფებით და სინამდვილეში კი მრავალ გადამდებ სნეულებათა გავრცელების წინაშე ვიდგეთ უსუფთაობის გამო.

სისუფთავის დაცვა საჭიროა ისევ ჩვენი ინტერესებისათვის და ვინმეს წინაშე ერთ დღეს თავის გამოჩენა ჩვენ ვერ გვიხსნის საშიშროებისაგან.

სამხკორი სურამულას პირელი.

## ფიცხი საქმის მწარმოებელი.

ტფილისის მაზრის სამხედრო კომისარიატში მსახურობს მოქ. ბერეკაშვილი, რომელიც ასრულებს უფროსი საქმის მწარმოებელის მოვალეობას. 6 საათის სამუშაო საქმეს უნდება 14 საათს და ყოველ დღე მუშაობს კიდეც ხან 14-ს და ხან 12 საათს.

ასეთი მეჯითობისათვის როგორც კანცელარიის მოხელე დასაფასებელია, მაგრამ საუბედუროთ მას ერთი დიდი ნაკლი აქვს, რომლითაც მან სიძულვილი დაიმსახურა, მთელ თანამშრომლებში.

ის მეტად ამაყია, საშინელი გულფიცხი და მოუთმენელი. ეს გულფიცხი საქმის მწარმოებელი განაგებს, მოქალაქეთა აღრიცხვის საქმეს, და ამიტომ მასთან აქვთ დამოკიდებულება, ქ. ტფილისის და მისი მაზრის სამხედრო სააღრიცხვო მაგიდის გამგეებს, რომლებიც არდგენენ ხსენებულ საქ. მწარმოებელთან, მოქალაქეების აღრიცხვაზე აყვანის და მოხსნის ცნობებს.

მათი წარმოდგენილი ცნობების გადასინჯვის დროს, საკმარისია რომ შეამჩნიოს სულ მცირეოდენი შეცდომა რომ მთლათ გადირევა ხოლმე. წამსვე გამოიძახებს სამხედრო მაგიდის გამგეს, და ისეთ ყვირილს და აურზაურს ასტეხს დაწესებულებაში, რომ გარეშე მაყურებელი ხალხი განცვიფრებაში მოდის.

რამოდენიმე დღის წინეთ მე-12 უბნის სამხედრო სააღრიცხვო მაგიდის გამგე ამხ. გეგელაშვილი გამოიძახა, რაღაცა უმნიშვნელო შეცდომისათვის.

მეორე დილას როდესაც გეგელაშვილი მივიდა მასთან, გამარჯვების თქმაც არ აცალა, რომ დაუწყო საშინელი ყვირილი, უშვერი სიტყვების წამოსროლა და მუშტების ქნევით იწევდა გეგელაშვილის გასალახავად.

ყვირილის დროს, როდესაც მას აგრძნობიეს, რომ ის იყო დაწესებულებაში მან ქუჩაში გაიწვია ამხანაგი სამუშტიკრივოდ.

ხსენებულ კომისარიატში მსახურობენ აგრეთვე წითელ არმიელებიც, გადამწერის თანამდებობაზე, რომელთაც ეს ძველი ჩინოვნიკური სულით გაჟღენთილი მოხელე არაფრად სთვლის და ხშირად უდიერი ქცევით უმასპინძლდება მათ.

დროა გაიგოს გულფიცხმა ბერეკაშვილმა, რომ თავისი სიფიცხე და უდიერი მოპყრობა შეუძლია გამოიჩინოს სხვაგან ხოლო სამხედრო კომისარიატის წითელ არმიელებსა და თანამშრომლებში ამის ნებას არავინ მისცემს.

გადამწერთაგანი.

# ახკომკავშირელთა შორის.

მე 2-რე დივიზიის და პოლიტგანყოფილებასთან არსებული ახ. ლ. კ. კ. უჯრედი.

16 ივლისს შესდგა უჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრენ ახ. ლ. კ. კ. წევრები და მრავალი სხვა უპარტიო ამხანაგები.

დღის წესრიგში დასმული იყო სამი საკითხი.

1) საქ. ახალ კ. კ. ცეკას პლენუმის შესახებ 2. კავშირში შესვლის შესახებ განცხადებების განხილვა და 3) მიმდინარე საკითხები.

1) პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხანაგ პატარაიამ.

მან ვრცლათ და გასაგებათ გაგვი მარტა საქ. ა. ლ. კ. კ. მიღწევები როგორც პოლიტიკურ, ისე ჩვენი ცხოვრების ეკონომიური სფეროში.

მომხსენებელი ფართოდ შეეხო კომკავშირის მნიშვნელობას კულტურისა და განათლების გავრცელების საკითხში სოფლათ. შემდეგ კრებამ განიხილა უპარტიო წითელ-არმიელებიდან შემოსული განცხადებები კავშირში წევრათ მიღების შესახებ. კრებამ იქონია მსჯელობა მათი ვინაობის შესახებ და ვინაიდან ყველა მუშების და გლეხების შვილები იყვნენ ერთხმათ იქნენ მიღებული კავშირის წევრებად.

მიმდინარე საკითხებში წამოიჭრა შემდეგი: რადგანაც კავშირის წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა საჭიროთ იქნა ცნობილი უჯრედის ბიუროს დაარსება.

ბიუროს შემადგენლობაში შევიდა სამი წევრი და ერთი კანდიდატი რომლებსაც დაევალათ უჯრედის შემდეგი მუშაობისათვის ხელმძღვანელობა.

ვიმედოვნებთ რომ ამხანაგი წითელ-არმიელები კიდევ უფრო მეტი ენერგიით და ხალისით ჩაებმებიან უჯრედის საქმიანობაში.

სამხკორი გ. არაქელოვი.

# ყველაფერს კარგად ვითვისებთ.

პირვ. ლეგ. 2-რე ბატარეია.

წითელ ჯარში გამოგვიწვიეს მაისში. თავიდანვე მეტად დაგვაინტერესა ნაწილის ცხოვრებამ და გულმოდგინეთ შევუდექით მეცადინეობას. მასწავლებლები და პოლიტხელები არ ზოგავდენ მთელ თავის ენერგიას და ყოველმხრივ სცდილობდენ ჩვენი განვითარებისათვის. ამ ჟამად ჩვენთან არც ერთი წერა კითხვის უცოდინარი არ მოიპოვება ასეულში. ყველამ თუ კარგად არ იცის, იმდენი იციან მაინც, რომ საკუთარი ხელით სწერენ წერილებს თავიანთ ოჯახებში.

ასეთივე წარმატებით ვითვისებთ სამხედრო საქმესაც. ქვემეხის ერთი უმნიშვნელო ნაწილი არ არის, რომ ჩვენ არ ვიცოდეთ და შესწავლილი არ გვქონდეს მისი დარღვევა და აწყობა.

ახალწვეულები ამ საქმეში არ ჩამოუვარდებიან ძველ წითელ-არმიელებს და მათთან ერთად ჩვენც ვასრულებთ ყველა დავალებებს.

მეთაურები ძლიერ კარგ განწყობილებაში არიან ჩვენთან. ხშირად მოიყრიან თავს არმიელებთან ერთად და გვართობენ, ხან საუბრებით და ხან ცეკვა სიმღერებით.

წ.-არმ. ვლ. ახალაშვილი.

# ჩვენი მეცადინეობა.

სკოლის გარეშე მუშაკების ბიბლიოთეკარების მეცადინეობა ძლიერ ნაყოფიერია.

ჩვენ დიდის მონდომებით და ენერგიით განვაგრძობთ მეცადინეობას. ეს ერთი კვირაა რაც პრაქტიკულ მუშაობაზე გადავედით. გვამეცადინებს არმიის ბიბ-გამგე ამხ. ანიევი. დავდივართ სხვა და სხვა ბიბლიოთეკებში და ვეცნობით მათ ტეხნიკურ მხარეებს, რის შემდეგაც ვმართავთ სჯაბაასს ამა თუ იმ ბიბ-კის უარყოფითი და დადებითი მხარეებზე.

9 ივლისს ბიბლიოთეკარებმა მოვაწყვეთ ექსკურსია ამხ. ანიევის ხელმძღვანელობით და წავედით ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ბიბ-კის დასათვალიერებლად.

ბიბლიოთეკის გამგე ყოფილა ქალი, რომელმაც დიდი ყურადღება მოგვაქცია და ეს უზარმაზარი ბიბლიოთეკა სულ დაგვატარა და გვაჩვენა ყველა მისი კუთხე კუნჭული. განცვიფრებაში მოგვიყვანა აღნიშნულ ბიბ-კის ტეხნიკურად დაყენებამ, მისმა საუცხოვო სისუფთავემ და ბიბლიოთეკის სიდიდემ, სადაც რამოდენიმე ათასი წიგნია მოთავსებული, გვიჩვენეს საუცხოვოდ დაწერილი უზარმაზარი კატალოგები და საერთოდ ყველა ტეხნიკური მოწყობილობა.

შემდეგ გვ ჩვენეს სამკითხველო, რომელიც მორთულია სხვა და სხვა პლაკატლოზუნგებით და მუშათა კლასის ბელადების სურათებით.

აქვე ვნახეთ გაზეთების არქივი საუცხოვოდ შეკაზმულ ყდებში.

ბოლოს გვაჩვენეს საკინძავი სახელოსნოც.

სახელოსნოში მუშაობდა 6 კაცი. მუშებსაც გაუხარდათ ჩვენი მისვლა და თვითეულ მანქანის დანიშნულებას სიამოვნებით გვიხსნიდენ.

მადლობის ღირსია ბიბ-გამგე ქალი, რომელიც ასე კარგათ შეგვხვდა.

სამხკორი წ. ა. ოგანოვი.

# ფიზკულტურა და სპორტი.

მუშათა მსოფლიო ოლიმპიადი.

23 ივლისს ფრანკფურტმაინში (გერმანია) შესდგება მსოფლიო მუშათა ოლიმპიადი. ამ შეჯიბრს აწყობს ლიუცერნის ყვითელი ინტერნაციონალი. ჯერ კიდევ გასული წლიდან სწარმოებდა მოლაპარაკება ლიუცერნის ინტერნაციონალსა და წითელ სპორტინტერნს შორის, ამ ოლიმპიადში სპორტინტერნის მონაწილეობის შესახებ.

სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც მიიწვიეს მთელი ქვეყნის მუშები შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად, ს. ს. რ. კ. უარი უთხრეს მონაწილეობაზე მხოლოდ იმიტომ, რომ წითელი სპორტსმენები ჩვენში სდგანან სპორტინტერნის დროშის ქვეშ.

ს. ს. რ. კ. ასე ურცხვად უარის თქმამ მთელი აურზაური გამოიწვია, საფრანგეთის, გერმანიის,—შვეიცარიის, ფინეთის და სხვი ქვეყნების მუშათა სპორტორგანიზაციებში. თავის დადგენილებებში ისინი მოითხოვენ, რომ ს. ს. რ. კ. აუცილებლად იქნეს მიწვეული ოლიმპიადზე, რადგან რუსი მუშების მონაწილეობის მიუღებლად მსოფლიო ოლიმპიადა არ იქნება სრულიო.

ლიუცერნის სპორტინტერნი აშკარად მუშების მოთხოვნით იძულებული შეიქნა გაემართა მოლაპარაკება წითელ სპორტინტერთან, მართალია მეტად გაჭიანურებული და პრინციპიალური ხასიათის, რომ ამით მოიგონ დრო.

უკანასკნელი დეპეშა, რომელიც მიღებული იქნა წითელი სპორტინტერნის მიერ იტყობინება, რომ ს. ს. რ. კ. მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიწვეული ოლიმპიადზე, თუ ის გამოვა წითელი სპორტინტერნიდან.

წითელ სპორტინტერნს არა ერთხელ მიუმართავს სოციალ დემოკრატებისათვის მთლიან სპორტიული ფრონტის შესაქმნელად, რადგან ლიუცერნის მესვეურების რიგებში იმყოფება მილიონ ნახევრამდე მუშები.

ამ ახლო მომავალში სპორტინტერნი გზავნის სპეციალურ დელეგაციას ლიუცერნის ინტერნაციონალთან მოლაპარაკების საწარმოებლად.

ასე უყურებენ გამყიდველი სოციალ-დემოკრატები ს. ს. რ. კავშირის სპორტსაც.

# ახალი ამბები.

— პოლიტგანყოფილებაში. ამ ჟამად იმუშავებს გეგმას საერთო შეკრების მოსამზადებლად. გეგმებს ამ დღეებში დაუგზავნიან ნაწილებს.

— მარშრუტების მაჩვენებელი. ტფ. ტრამვაის დირექციის განკარგულებით ტრამვაის ხაზის უმთავრეს პუნქტებზე გამოკიდებულია მარშრუტის მაჩვენებელი აბრები.

— მოწაფეთა ექსკურსია. ტფ. მე-25 შრომის სკოლის მოწაფეები რიცხვით 35 კაცი მიემგზავრება ორი კვირის ექსკურსიაზე შავი ზღვის ნაპირებისაკენ.

# რადიო კუთხე.

**ამერიკული რადიო ფოტოგრაფიის მიღწევები.**

ამერიკული ფლოტის მთელი რიგი რადიო ფოტოგრაფიები, რომელიც მანევრებს აწარმოებს გონოლოულოუში, გადაცემული იქნა ნიუიორკში რადიოს საშუალებით 9.000 კილომეტრის მანძილზე.

სურათების გადაცემას დასჭირდა სულ 20 წუთი, და რადიოს საშუალებით მიღებული ფლოტის მანევრების გამოხატულება ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად.

**ანტენის „შავი საშიშროება“.**

ბირმინგამის რადიო სადგურის საანტენო ნაშენის დაწმენდის დროს აღმოაჩინეს, რომ როგორც იზოლიატორი, ისე ანტენის მავთულები 3,2 მილიმეტრის სისქეზე იყო დაფარული ჭვარტლით.

მავთულების გაწმენდა ამ ჭვარტლისაგან იმდენად ძნელი შეიქნა, რომ ამჯობინეს მათი ხელახალით გამოცვლა.

საფაბრიკო ქალაქი ბირმინგამი ერთი ყველაზე უფრო კვამლიანი ქალაქია მთელ მსოფლიოში.

ამ მხრივ ის ჩამოუვარდება მხოლოდ ქალაქ მანჩესტერს, სადაც სამი დღის განმავლობაში თითეულ კვადრატულ კილომეტრზე ცვივდება 256 კილოგრამი ჭვარტლი.

**რადიო და სახალხო განათლება ავსტრალიაში.**

ავსტრალიაში ფართოდ ტარდება სასწავლებლებში რადიოფიკაცია. ავსტრალიის რადიომოყვარეთა საზოგადოება უმაღლეს სასწავლებლის წარმომადგენელ განსაკუთრებულ ინსპექტორის თვალყურით რადიოს საშუალებით ავრცელებს სკოლებისათვის საჭირო პროგრამებს. ყველა ხარჯებს, რომელიც ესაჭიროება პროგრამების ასეთი წესით დაგზავნას კისრულობს სრულიად ავსტრალიის მშობლების გაერთიანება.

**რადიო სწავლება ინდოეთის უნივერსიტეტში.**

ინდოეთის ქ. დოკას უნივერსიტეტში ყველა სტუდენტებისათვის სავალდებულოდ არის შემოღებული რადიოტეხნიკის კურსის გავლა. უნივერსიტეტშივე სდგას დიდი რადიო მიმღები აპარატი, რომლითაც ინდოეთის დედა ქალაქ კალკუტიდან ღებულობენ რადიო ცნობებს.

# ჩვენი ფოსტა.

ამხ. სან—მანს. თქვენი სურათები მეოთხე ლეგიონის საკომენდანტო ოცეულის ცხოვრებიდან საერთოდ იძლევიან წითელი არმიის ცხოვრებაზე წარმოდგენას. კარგი იქნება თუ მოახერხებთ თქვენი ცხოვრების საყურადღებო მომენტების გადაღებას და გადმოგვიგზავნით, რომლებსაც სიამოვნებით დაუთმობთ ადგილს ჩვენს გაზეთში.

ამხ. კ. ჩარგეიშვილს თქვენი კორესპონდენცია „რატომ ჩამოგვართვეს“ გადაეგზავნა შტაბს.

ამხ. ჩაგელიშვილს. თქვენი წერილი „წიგნის კვირეულის შესახებ“ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთში.

ამხ. თ. სიკინჭალაშვილს. კორესპონდენცია „გამოასწორეთ ნაკლი“ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

ამხ. გოგაშვილს. თქვენი წერილი ჩხარიდან არ გამოდგა.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლი ლეგიონის მე-4-ხე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები შემდეგ წითელ არმიელ კომკავშირის წევრებს კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ: 1. ლითანიშვილი გიორგი სიმონისძე. თბილისის მაზრა 2. ანთაური ხვთისოვარ დავითისძე. დუშეთის მაზრის, სოფელი კაწალხევი. 3. ხუბეროვი სურენ დავითისძე. თბილისის მაზრა სოფელი მცხეთა. და უპარტიო 4. ამყოლაძე ათანასი ივლიანისძე ქუთაისის მაზრა სოფელი ცუცხვათი.

გთხოვთ გვაცნობოთ ვისაც აქვთ ზემო-აღნიშნული პირებზედ რაიმე საწინააღმდეგო.

კომუჯრედის მდივანი ვაშაკიძე.

1-ლ ქ. მ. ლეგიონის მე 2-რე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება პარტიაში კანდიდატებად მიღების შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომელთა შესახებ თუ ვისმეს მოეპოვებათ რაიმე საწინააღმდეგო მათი პარტიაში მიღების შესახებ, ვთხოვთ გვაცნობონ შემდეგ მისამართით: 1-ლი **ლეგიონის საზამთრო ყაზარმაში მე 2 რე ასეულის კომუჯრედში.**

1) ალექსანდრე მიხეილის-ძე ლალიძე 2) დავით არტემის-ძე ვერულაშვილი და 3) ვასილ იოსების-ძე ვაშაკიძე. ყველა ზემოხსენებული წ. მოლაშქრენი არიან უპარტიო.

მე 2-რე ასეულის კომუჯრედის პ.-მ მდივანი ი. სილაგაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

# სავალდებულო დადგენილება

**ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის № 86.**

სახანძრო საწესთვალო წიგნების შემოღების შესახებ.

1925 წლ. 13 ივლისი.

ქ. ტფილისი.

ქალაქის და მის მცხოვრებთა ხანძრისგან უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

§ 1) ქალ. ტფილისში შემოღებულ იქნას სახანძრო-საწესთვალო წიგნები ხანძრისაგან უზრუნველყოფის წესების ცხოვრებაში სისწორით გატარებაზე კონტროლის დასაარსებლად.

§ 2) ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი კერძო დაწესებულებები და წარმოებები, როგორიც არიან: ფაბრიკები, ქარხნები, წისქვილები, ყოველგვარი სითხისა და მაგარი სათბობ მასალების საწყობები, აფთიაქის საწყობები, ამაფეთქებელი ნივთიერების საწყობები, საბარგო და სასურსათო საწყობები და სხვა, თეატრები, ცირკები, კინო—თეატრები და სხვა ყველა საზოგადო სახმარებელი შენობები, სახელოსნოები, საფარები, (გარაჟები) სადგომები და მეეტლეთა ეზოები, სასტუმროები, რესტორანები და სხვა ამგვარი და აგრეთვე სახელმწიფო მნიშვნელობის მუნიციპალიზაცია ქმნილი სახლები—ვალდებული არიან შეიძინონ სახანძრო—საწესთვალო წიგნი.

შენიშვნა: 1) რაც შეეხება კერძო სახლებს, მათი პატრონები ვალდებულნი არიან შეიძინონ საწესთვალო წიგნები თუ ამას მოითხოვს ხანძრისაგან დაცვის განყოფილება.

2) 1-§-ში აღნიშნული წიგნი იყიდება ტფ. ცეცხლის მქრობელ რაზმის კანცელარიაში ვაჟა-ფშაველას ქ. № 4 (ყოფილ ფუკოვის ქ.) ტელეფონი № 6—00.

§ 3) სახლების და წარმოებების პატრონები, შენობების გამგეები, მმართველები და კომენდანტები ქ საერთოდ ყველა 2-§ ჩამოთვლილი წარმოებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელი პირები ვალდებულნი არიან სათანადოთ შეინახონ სახანძრო—საწესთვალო წიგნები და პ რველ მოთხოვნილებისთანავე წარუდგინონ ცეცხლის მქრობელ რაზმის ადმინისტრაციას, რომელიც მასში აღნიშნავს დაწესებულების, სახლის პატრონის ან წარმოების მიერ ხანძრისაგან უზრუნველყოფის წესების შესრულებას, სახანძრო საგუშაგოების გასინჯვას და საერთოდ შემჩნეულ ნაკლულევანებას.

§ 4) ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, დაპატიმრებული იქნება ორი კვირით ან გადახდება მას ჯარიმა ხუთ ჩერვონეცამდე.

§ 5) ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

თავმჯდომარეს მოადგილე ივანოვ-კავკასიელი.

მდივანი /ცქიტიშვილი/.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.